

# ივერიის

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.  
ტფილისი.

გაზეთის დასაბამლად  
და განცხადებათა დასაბეჭდად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვი  
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.  
ფასი განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრატონი პირველ გვერდზედ  
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი ღირს:	მან. კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	—
11	9	50	5	50
10	8	75	4	75
9	8	—	3	50
8	7	25	2	75
7	6	50	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი.  
ოთხშაბათს 17 იანვარს, 1896 წ.  
ქართულ დრამატულ საზოგადოების  
დასასახან  
წარმოდგენილი იქნება  
ვაღვიანი გუნიას საბე-  
ნეფისოდ  
პირველად ახალი პიესა

## I პირველი გუნია

კომედია 3 მოქმედ. გადმოკეთებ. ველიკოს  
პიესიდან ვალ. გუნიას მიერ

## II ცხორება

დრამ. სურათები 2 მოქმედ. ვალ. გუნიასი  
მონაწილეობას ღებულობენ: ეფ.  
მესხისა ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა,  
ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნი აბაშიძე,  
ალექს. მესხიფევი, კ. მესხი, გუნია,  
სვიმონიძე, გელევიანოვი, აღამიძე,  
და სხვ.  
ადგილებს ფასი ჩუქურფარია.  
მოწაფეებისათვის ადგილები ლოქე-  
ბის უკან 65 კაპ.  
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.  
24 იანვარს, დანიშნულია ბენეფი-  
სი გ. გელევიანოვისა.  
რევისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

გაგამოვა პარტიკულარ ახსნა-  
გობისა ამით აცხადებს, რომ თე-  
ბერგლის პირველიდან 1896 წ.  
წიკო ახსნაგობისას შეუძლიანთ  
მიიღონ ხვედრი ღირსი.

## ახალი ამბავი

გუშინ ხარკოვიდან მოგვივიდა  
შემდეგი სამწუხარო დეპეშა: „აკაკი

## ფელეტონი

მოგზაურობა ბურგონიაში.  
(საერთო სურათი.—საზოგადო მიმო-  
ხილვა.—რა უქნია ფილოქსერას.—ქ.  
ბონი და მისი მიღამო.—ღიდ და პატა-  
რა მევენახეთა ბელი).

ბურგონია! ასე იწოდება ის ერ-  
თი საფრანგეთის მდიდარ კუთხეთა-  
განი, რომლის სახელთანაც ერთად  
შეერთებულია საფრანგეთის საუკეთეს-  
ო ღვინოების გახსენება. საკმარისი  
სია, რომ ეს სახელი გაახსენოთ  
ფრანგს, რომ მან მაშინვე დააყო-  
ლოს: „კი ღვინის ქვეყანაო“ (pays  
de bon vin!).  
ქ. დიეონიდან, საიდანაც იწყება სა-  
კუთრივ ბურგონია, საზოგადო სურათი  
იცილებს: მარჯვნივ—დასავლეთ-  
ისკენ „ოქროს ქედი“ (Côte d'or),  
მარცხნივ—ბურგონიის ვაკე ურას  
და იქ, შორს, სქელს ბურუნსი გა-  
ხვეული ალპის მთების მწვერვალნი  
ძლივს და მოსჩანან. მაგრამ მატარე-  
ბელში მჯდომს მგზავს შორს არა  
აქვს-რა საძებნელი. იქვე, მატარე-  
ბის გვერდით, უფრო ღიდებული და

ერთი კვირაა, რაც ავად არის; ავად  
გახდა უეცრად. სტუდენტები“.

გუშინ-წინ, 14 იანვარს, წმ.  
ნინოშვილს, სიონის ტაძარში მრავალ-  
მა ხალხმა მოიყარა თავი. როგორც  
ტაძარი, ისე გალავანი და თითქმის  
მთელი ქუჩაც მლოცავი ხალხით  
სავსე იყო. მწირველი ბრძანდებოდა  
მისი ყოვლად-უსამღველოესობა გო-  
რის ეპისკოპოსის აღექვსანდრე ქარ-  
თველის სამღვდლოებითურთ. წირვა  
ქართულს ენაზე იყო; გალობდნენ  
ქართული ხორალები ბ-ნის ქორიძისა,  
ბ-ნის ჩხიკვაძისა და ექსარხოსის რუ-  
სული ხორო, რომელსაც წი-  
ლოდ ჰხვდა მომეტებული ნაწი-  
ლი საგლობელთა, თუმცა ვერ  
გაგვიგია, რად. ამ დღეს დამს-  
წრე მლოცველთა შორის მხოლოდ  
ათასში ერთი თუ იყო რუსთაგანი  
ვინმე; მაშ, რა მიზეზი ნეტავ, რომ  
ერთს დღესაც არის არა გვაქვს უფ-  
ლება მოვისმინოთ სრული ქართული  
წირვა, მერმე ისიც იქ, სადაც ასე-  
ნია ქართველთა განმანათლებლის  
წმ. ნინოს ჯვარი, ჩვენი ეროვნული  
სიმდიდრე და ღიდება?

საერთო განათლების მინისტრმა  
მოახდინა შემდეგი განკარგულება,  
რომელიც ჩვენს მხარესაც შეეხება:  
რათა უფრო ღრმად ჩარჩეთ  
ხსოვნაში მოსწავლე ბავშვებს, ახალ-  
გაზრდებსა და მოსწველე ქალებს  
მთელის რუსეთისათვის სასიხარუ-  
ლო ამბავი, მათის იმპერატორები-  
თის უდიდებულესობის დაგვიგვი-  
ნება, ნება-დართულია ამ წელს კლა-  
სილად კლასში გადამყვანა მთელის  
იმპერიის სავაჟო და საქალებო სა-  
შუალო სასწავლებლებში წლიურ  
წინების მიხედვით მოხდეს და

საყურადღებო სურათი იხატება.  
მართლაც, აქამდის წყნარად  
მჯდარი მგზავრი, „ბურგონიის“  
გახსენებაზედ ფიზიკურად და ყვე-  
ლა ვაგონის ფანჯრებთან გროვდე-  
ბა ყველას უნდა ნაქებ-ნადიდე-  
ბელის ნახვა. სურათის დახანვა-  
ზედ ყველას სახეზედ რაღაც სი-  
ნაშულის გრძნობა იხატება, თუმცა  
ხანდისხან, ხან აღტაცების, ხან მწუ-  
ხარების ხმა გაისმის.  
ხან შორს, ხან ახლოს აცეცებს კაცი  
თვალებს, რომ მოჰკრას თვალი მას,  
რაც წიგნებიდან ამოუკითხავს ამ  
კულტურულს მხარეზედ. მაგრამ...  
მოლოდინი ცრუვდება. უყურებთ და  
არ უჯერებთ თქვენს თვალს, თუ ეს  
შესანიშნავის ღვინის ქვეყანაა.

აქამდის (ვიდრე დიეონამდე) მწი-  
რი ნიადაგი, მწირი მცენარეობი-  
თვე და მეტად თხლად დასახლებუ-  
ლი არეწარე, მდიდარ მცენარეობით  
და მკიდროდ დასახლებულ არეწარედ  
იცილებს. ცხადად ეტყობა, რომ ეს  
მხარე ოდესმე გაბმული ზვა-  
რი უნდა ყოფილიყო. ამ ეამდ-  
კი თითქმის მტრისაგან აოხრების შე-  
მდეგ შეუდგნენ ვაზის ხეობათა მო-  
შენებას. ნორჩი ვაზი, ოხრად მიგდებუ-  
ლი ვენახ-და-კენახ შუა დაჩენილი

არა წლიურის გამოცდით; გა-  
მოსცილიან ორთვეობის შემდეგ მხო-  
ლოდ იმ მოწაფეთ, რომელნიც უფ-  
რო სუსტად იყვნენ ცნობილნი და  
საკმაოდ კარგი ნიშნები არა ჰქონ-  
დათ სამოსწავლო წლის განმავლო-  
ბაში. ამ რიგად სწავლა ყველა სას-  
წავლებლებში, გარდა სწავლის დამ-  
თავრების ეგზამენებისა, დასრულდე-  
ბა თვითვეულის სასწავლებლისათვის  
იმ ვადაზე, რომელიც საკლასო მე-  
ცადინეობისათვის არის დანიშნული.  
რადგანაც ეს ვადა თითქმის იმ დღესა  
ჰხვდება, რომელიც წმ. დაგვიგვი-  
ნებისათვის არის დანიშნული, ამი-  
ტომ მეცადინეობა ყველაგან (გარდა  
სწავლის დამთავრების ეგზამენებისა)  
11 მაისს დასრულდება.

„ხოლო სწავლის დამთავრების ეგ-  
ზამენები უმადლესსა, საშუალოსა და  
დაბალს სასწავლებლებში (იმთა შო-  
რის მოსკოვის სასწავლებლებშიც,  
გარეშე ქალაქისა) მოხდება დადგე-  
ნილს ვადაზე, მხოლოდ მოწაფენი  
განთავსიუფლებულ იქნებიან სამის  
ღდით, როგორც 1883 წელს.  
ამ მიმდინარე 1896 წელს კანკუ-  
ლები 1-ლ. სექტემბრამდე განეგრძობა.  
\* \* \* გაზაფხულზე, ქ. არმავირში,  
როგორც გაზეთები იუწყებიან, მო-  
ხდება კავკასიელ ცხვრის პატრონთა  
კრება, რომელზედაც განიხილავენ  
საგნებს: როგორ გააუფრავდეს ცხვ-  
რების ერთი ადგილიდამ მეორეზე  
გადაყვანის საქმე, როგორ გაუჩინონ  
ბაზარი მეცხვარეობის ნაწარმოებს,  
როგორ დასწიონ ძირს ტარიფი და  
სხვ.  
\* \* \* ქუთაისიდან გვატყობინებენ,  
რომ იქ ამ ეამდ მშვენიერი ამინდე-  
ბი თურმეა. ერთის კვირის წინად

მიწის ნაქერი სამწუხარო ელფერს  
სდებენ საერთო სურათს.  
ღიან, საუკუნოვებით განთქმუ-  
ლი ქვეყანა დღეს ახალშენს  
წარმოადგენს! მეტად პატარა და  
უჩინარ მწერს—ვაზის მტერს,  
ფილოქსერას, ასეთი ღიდი ზა-  
რალი მოუტანია ქვეყნისათვის. ამ  
მწერის შემოსევას ისე დაუცია ღვი-  
ნის წარმოება და აქედამ ეკონომი-  
ური მდგომარეობაც, რომ ძნე-  
ლი იყო ამ გარემოებას ქვეყნის  
გულშემატკივარი არ ჩაეფიქრებინა.  
დანაკლისი მეტად საგრძობელი  
იყო. მთავრობას, ერს, საზოგადოე-  
ბას, სწავლულთ და უსწავლელთ სა-  
ერთო ძალით უძებნიათ მტრის მო-  
საგერებელი იარაღი. მრავალ სე-  
ნის მკურნალს მეცნიერებას არ და-  
უჯერებია უყურადღებოდ ეს ღიდი  
საკითხი“ და მრავალ ვაზის გამოც-  
დისა და დაკვირვების შემდეგ მას მა-  
ლე მოუშველებია მევენახესთვის სხვა-  
და-სხვა გვარი იარაღი და დღესაც არ  
სწყვეტს მუშაობას ამ კირის მოსას-  
პობლად. მთავრობა მისთვის ფულს  
არა ჰზოგავს და ქვეყნის გულშემატ-  
კივარი შრომასა და ცოდნას. დაარსე-  
ბულა მრავალი საზოგადოებანი, სხვა  
და სხვა დაწესებულებანი და იწყვეენ

ცოტა თოვლი მოვიდა, მაგრამ ისევე  
მალე გამოიღარაო. გარდა ამისა ნა-  
მუშავარი: სიმინდი და პური, შედა-  
რებით სხვა წლებთან, წველს უფრო  
იფხავს; ფუთი სიმინდის ფქვილი სამ  
აბაზე, სამ აბაზე-ნახევარზე უფრო ძვი-  
რად არა ჰღირსო. ღვინო-კი ისე  
ძვირი არის, რომ იმ ღვინოს, რო-  
მელსაც წინად მანეთად ვყიდულობ-  
დით ბათმანს, ესლა სამ მანეთად  
აფასებენო.

\* \* \* საჩინო (იმერეთი): ჩვენს სო-  
ფელში აგ-რ ერთი თვეა რაც ყვა-  
ვილი გაჩნდა. თითქმის მთელს სო-  
ფელს მოედო ეს სენი, მაგრამ ჯერ-  
ჯერობით ყურადღება არააინ მოგვა-  
ქცია. საჭირია, სანამ რამდენსამე  
მსხვერპლს შეიწირავდეს ეს სენი,  
მანამდე მოგვეხედოს ვისიც ჯერ არს.  
\* \* \* გუშინ-წინ ღამის ცხრა საათზე  
კუკუის ხილიდამ გადავარდა ქალი, რო-  
მელიც წყალმა ერთს მახლობელ წის-  
ქვილთან მიავლო. საცოდავი განწი-  
რულის ხმით კიოდა და ითხოვდა  
შველას. წისქვილიდამ თოკი ჩაწო-  
დეს, მაგრამ საუბედუროდ თოკი გა-  
წყდა ქალი წყალმა დასძირა. მიზეზი  
წყალში გადავარდნისა არააინ იცის.  
\* \* \* ამავე დღეს საღამოს რვა სა-  
ათზე არსენალის ახლოს მატარებელ-  
მა გასრისა რუსი ჯარის-კაცი. ცოც-  
ხალ-მკვდარი, იქვე ყაზარმაში წაი-  
დეს.

\* \* \* ამბობენ, გადაუწყვეტიათ,  
რომ ვენახის პატრონებს გადასახადი  
დააღონ ფილოქსერის წინააღმდეგ  
საბრძოლველად. მიწათ მოქმედების  
დებარტამენტისათვის მიუნიდვიათ აღ-  
ნიშნოს საღ რამდენი გარდასახადი  
უნდა დადგენილ იქნას ადგილის სა-  
ჭიროების მიხედვით. (ნ. ვ.)

მთავიულის პირს მტერთან საბრძო-  
ლად, ზოგს უმოქმედიათ პრაქტიკუ-  
ლად, ზოგს ტეორეტულად, უმარ-  
თავთ კომფერენციები შინ, გარეთ,  
მინდვრად, ვენახად, ყველაგან უსწავ-  
ლებიათ მევენახესთვის იარაღის ხმა-  
რება და მევენახეც არას ჰზოგავს  
ფეხზე წამოდგომისთვის. მაგრამ  
დღეს ბურგონია ვაზის, ამ ერთად  
ერთ ცხოვრების სახსრის, მხრივ ღიდს  
ეკონომიურს კრიზისშია ჩავარდნილი<sup>2)</sup>  
ფილოქსერასთან საბრძოლველად ზოგს  
წამლობისთვის მიუშართავს, ზოგს პირ-  
დაპირ დასეს მიღებული რადიკალუ-  
რი ბრძოლა აუჩჩევია: ამოუყრია  
ფრანგული გადახმბარი ვაზი და ამე-  
რიკულ ვაზზედ ნამყენი ჩაუყრია მისს  
მაგივრად. რამდენადაც სამხრეთს  
ევახლოვდებით, იმდენად ფრანგული  
ვაზი კლებულობს, და ამერიკანიზ-  
მი<sup>3)</sup>, როგორც აქ ეძახიან, თანდათან  
მეფდება.

ქ. ბონი და მისი მიღამო.  
\*) წლიური შემოსავალი ღვინისა მთელს  
საფრანგეთში:  
1865 წ.—68, 924, 961, (ფილოქ. ჯერ  
1879 წ.—25,770,000 მორველი არ  
1887 წ.—24,333,284 იყო).  
1891 წ.—30,139,555  
1893 წ.—50,070,000

ქ. ბონი და მისი მიღამო.  
\*) ამ მაგალ. ერთი ნიმუში:  
სილისი (silice)—62,00  
კირი (calcaire)—20,60  
თიხა (argile)—17,40

გაკვეთ არის გაშენებული. როგორც  
ქალაქის მიღამო, ისე ქედის კალთე-  
ბი მთლად ვაზით არის გაშენებული  
და გაბმულს ზვარს წარმოადგენს  
(როგორც საზოგადოდ შენიშნულია  
ბურგონიაში საუკეთესო ღვინოს  
„ოქროს ქედის“ კალთების ვაზი იძ-  
ლევა, რისთვისაც მას ეს სახელი მი-  
უღია). მეპატრონეს მეორე მკამულე-  
საგან სრულებით არა ჰყოფს-რა, ან  
ქვის კედელი რომელიც არც-კი მო-  
სჩანს ვაზების შორის. რაც შეეხები  
ღიდ ნემამულეთ მათ ზვარებ მშენიე-  
რი ქვიტიკრის კედელი აქვთ შემოვ-  
ლებული.

ნადაგი ბონის მიღამოსი და სა-  
ზოგადოდ „ოქროს ქედის“ კალთე-  
ბისა არ არის ღრმა. მას წაწილებს  
შეადგენს: სილა, კირი და თიხა<sup>3)</sup>  
რადგან თიხა რკინიანი, ამიტომ  
მიწას ჟანგის ფერი სძევს და ქვი-  
შა სხვა ელემენტებს სჭარბობს, სამუ-  
შაოდ ძლიერ ადვილია; ერთი ცხენი

\*) ამ მაგალ. ერთი ნიმუში:  
სილისი (silice)—62,00  
კირი (calcaire)—20,60  
თიხა (argile)—17,40

100,00

თუმანდვ შემოწირული ფული.

\* \* ქალაქის საბჭოს კომისია 13 ს იანვარს დაადგინა იმ ალაგას სადაც ეხლა ძველ შენობაში იმყოფება ქალაქის ცნცხლის ჩამქრობი რაზმი ააშენოს ახალი შენობა, რომელშიაც მოათავოს ბ-ნ პოლიციემისტრის მმართველობა, მის სადგომი და ცეცხლის ჩამქრობი რაზმი.

\* \* გუშინ კავკასიის მთავარ-მართველის მოადგილე გენერალ გრაფ ტატიშჩევის ეტლს „ლონდონის“ სასტუმროსთან დაეჯახა კერძო ეტლი, დაამსხვრია. გენერალ გრაფი ტატიშჩევი უვნებლად გადარჩა.

\* \* ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისში შვიდი სომეხთა საეკლესიო სასწავლებელი ამ წელს გადადის სავრო განათლების სამინისტროს მხედველობის ქვეშ.

\* \* ოფიციალურ ცნობებიდანაა სჩანს, რომ დედათა საეპარქიაო სასწავლებელში ხუნაგი გაჩენილა. გუშინ ამ სასწავლებელში დეზინფექცია მოახდინეს და ექიმ ბ-ნ გელაშინს მიანდვეს ზედამხედველობა ამ სასწავლებლისა. ამასთანვე სასანიტარო ექიმთა ზედამხედველმა შეატყობინა ტფილისის გუბერნატორის მოადგილეს ამ სენის გაჩენის შესახებ და თუ საჭიროება მოითხოვს, ეს სასწავლებელი დროებით დაიკეტება.

\* \* ახალად დანიშნული ტფილისის სახანო პალატის გამგე ი. ვ. ვერეტენიკოსი გუშინ 14 იანვარს გამოეცხადა კავკასიის მთავარ მართველის მოადგილეს გენერალ გრაფ ტატიშჩევს და იანვრის 16-ს შეუდგება თავის სამსახურს. ამის გარდა ბ-მა ვერეტენიკოვმა ტფილისის, ქუთაისის და განჯის გუბერნიების გარდასახდლათა ინსპექტორების კრება ტფილისში დანიშნა აღდგომის კვირაში, მარტის უკანასკნელს რიცხვებში.

\* \* ქალაქის სამკურნალოს ანგა-

რიშიდამ სჩანს, რომ გასულს 1895 წ. სამკურნალოში ყოფილა 15,774 ავადმყოფი, მათგან 8774 კაცი ყოფილა და 7000 ქალი. ეს ავადმყოფნი სულ 57737-ჯერ ყოფილან, მათგან 6169 ფასით და 51568 უფასოდ, ამ 15,774 ავადმყოფებისაგან 2499 რუსი, 4549 ქართველი, 294 იმერელი და მეგრელები, 6907 სომხები, 210 მაჰმადიანები, 695 ებრაელები, 116 ლეკი და ოსი, 49 ბერძნები, 309 ფრანგები და 166 სხვ. ყოფილან. ქალაქის აფთიაქიდან სულ 78,699 რეცეპტებით უფასოდ მიუციათ წამლები. ამ ავადმყოფებიდან ბავშვები 15 წლამდე 5430 ყოფილა, 15 წლ. 35 წლამდე ყოფილა 7092 და 35 წ. 106 წლამდე 3252 სული ყოფილა.

ქო რ მ ს კ მ დ ე ნ ც ი ა .

დაბა ხონი, 10 იანვარი. ამას წინად „ივერია“-ში იყო აღნიშნული ამბავი, რომ „მამა ნესტორ ლევაგამ სამკითხველოს დაარსება განიზრახა და ამისათვის ცოტა თანხაც შეჰკრიბა“; ჩვენ ეს კორესპონდენტის საამო სიზმრად მიგვაჩნია. გვეგონა ჩვენს შენიშვნას თვით მამა ნესტორიც კვერს დაჰკრავდა, მაგრამ ხანი გავიდა, სამკითხველოს დაარსება სხვის საზრუნველად გახდა; მხოლოდ მამა ნესტორის განზრახვა და მის მიერ შეკრებილ თანხის ამბავი დღესაც არ ვიცით ნამდვილია, თუ არა? ეს კი საჭიროა ვიცოდეთ, რადგან სამკითხველოს დაარსების ნებართვა სემინარიის მასწავლებელმა უკვე აიღო და იმედია ამ კეთილს საქმეს აღსრულდებაც მოელის. რასაკვირველია, უფრო სასიამოვნო იქნებოდა კორესპონდენტის სიტყვები გამართლებულიყო, რადგან მამა ნესტორი აღდგომობრივი მოძღვარია, აქაურის ხალხის მცოდნე, მისი საჭიროება შეგნებუ-

ყოვნებლივ გადაწყვეტილ პასუხს თხოულობდა. განათლებულს და ეკონომიურად განვითარებულს ერს, რასაკვირველია, ძალიან არ გაუჭირდებოდა განსაცდელიდან თავის ხსნა, ვაზის ხსნის იმედ დაკარგულ პატარა ბურგონიელს სხვა გზისთვის მიუმართნია არსებობისთვის ბრძოლაში.

სოფელი ვინიოლი, რომელიც ბონიდგან ორს ვერსზედაა, მთლიან წვირილ შემამულეთაგან არის დასახელებული.

ამ ათასი წლის წინედ თურმე მხოლოდ ვაზის მოშენება ყოფილა მათი სავანი, მაგრამ ფილოქსერას ისე გაუჭირვებია მათთვის საქმე, რომ იძულებულნი ყოფილან თავი დაენებთ მდღევანობისათვის და ხვნათვისათვის მიეყოთ ხელი. დღეს ამ უშველებელს მიდამოზედ ძლივს და მოჰკრავთ თვალს ორიოდ ვენახს, უფრო ნაგენახარს, ღვთის ანაბრობაზედ მიგდებულს. (ეტყობა სასოწარკვეთილი პატრონი სადმე შორს გარდახვეწილა ლეუკის საზოგადოებად, რომ თავისი უბედურება საკუთარის თვალით არ ეხილა). და დანარჩენი მანძილი კი საბალახოებს და სახნავსათეს ადგილს დაუტყრია. მაგრამ ეს ქვეყანა პურის მოსავლისათვის უვარგისი აღმოჩენილა, ამიტომ მე. პატრონეს მხოლოდ ეს არ უკმაობა და სხვა ხელობისთვისაც მიუმართნია. დაუთესია საქონლის საკვები სხვა-და სხვა მცენარეულობა, გაუჩენია კარგის ჯიშის საქონელი

ლი აქვს და მცხოვრებლებიც უფრო ნდობითა და გულით შეუდგებოდნენ ამ სასარგებლო საქმეს. მაგრამ ჩვენგან მაინც მადლობის ღირსია ეს პატრონი რუსი, რომელმაც ამ საქმის თაობა იკისრა. მას აზრად აქვს შეიძინოს რაც შეიძლება მეტი ქართული წიგნები და ყველა ჩვენი პერიოდული გამოცემანი. იმედია, როგორც ჩვენს ქურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამომცემლნი, აგრეთვე ყოველი ქართველი, რომელსაც თავის ქვეყნის წარსამატებლად მცირეოდენი წვლილი არ ეშურება, ხელს გაუწყობს გადმოხვეწილის ჩვენთვის სასარგებლო მოღვაწეობას. დარწმუნებულნიც ვართ ამ კეთილს აზრს ის ბოლომდე რიგიანად ემსახურება და არ დაივიწყებს, რომ აქაური მცხოვრებლები სულ ქართველებია და უპირველეს დედა-ენის შეგნება-განვითარება ეკირებათ, რომ მით სხვა ენის შესწავლაც შეუძლებულად. ამისათვის აუცილებლად საჭიროა სამკითხველოში დანიშნოს ერთი ქართველი, თვისს ლიტერატურის მცოდნე, რომელსაც შეძლება ექნება რიგიანი და საჭირო წიგნები მიაწოდოს მკითხველებს.

მაგრამ ეს სასიამოვნო ამბავი ჩვეულებრივ სამწუხაროდ უნდა დავაბოლოვო. ერთა კირი კიდევ კარზე მოგვადგა. ამდენს ხანს სამი ექიმი გვაყვდა და ისინიც ძლივს აკმაყოფილებდნენ მცხოვრებლების მოთხოვნილებას; დღეს ერთი და დაგვიჩენია, რომელიც ყველას გაჭირვებას ვერ მიშველებია და ბევრი ავადმყოფი იძულებულია უექიმობისა გამო ამ წუთი-სოფელს უდროოდ გამოესალმოს. მართალია ამ მოკლე ხანში სემინარიისათვის ექიმი უნდა ჩამოვიდეს, მაგრამ ვეკვობთ, ხალხის წყლულს მტლად დავივდვას, რადგან თუ სნეულს ექიმის

(ძროხა) და მის მოვლა-მოშენებით სარგებლობს. სქლად დასახლებული ქალაქები ახლო აქვს, რკინის გზა კარზედ ჩამოუდის, მაშ დღიური ნაწარმოები შინ უქმად და დასალაზბად როდი დარჩება; რძე რძედ უსაღებება, ერბო ერბოთა და მწვანილი მწვანილიად. თუმცა ვინიოლი გლეხი ვაზის დაკარგვით მეტად შეწუხებულია, მაგრამ მაინც სასოწარკვეთილებას არ მისცემია. ცხადი მაგალითებია, რომ ამერიკული ვაზის შემწეობით ფილოქსერის ძლივეა შესაძლოა. ზოგჯერ იმედს აძლევს, ის მაგალითები, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ გაჩენის თავისს საყვარელს ვაზს. ზოგს-კი ახალი გვარი წარმოება სასარგებლოდ მიჩნია და ფიქრადაც არ მოსდის მევენახეობის ხელ-ახლად დაწყება. ჯერ-ჯერობით საქონლით იჩინეს თავს.

დიდ და საშუალო მემამულეთა საქმე-კი სულ სხვა ნაირად წასულა; ვიდრე მხოლოდ წამლობა ყოფილა ფილოქსერის წინააღმდეგ მიღებული, არა ხარჯს არ მოჰრიდებია და შეძლების და-გვარად უწყამბოლოა. მეტი კი, როცა დარწმუნებულა, რომ ამერიკული ვაზის მეტი არა იხსნის-რა-ა ამ სენისაგან, რომ მოგებაც მოგებად დარჩება, ღვინოსაც ისევ თავისი ბუნებრივი თვისება შერჩება და მოსავალსაც მეტს მოიცივია, მას პირდაპირ ამ რადიკალურ (დღეს მიღებულ) იარაღისათვის მიუმართნია. ჯერ ამო-

და მეორეს პირველითა არა გაეგება-რა, ვერაფერს გახდება თვით ძალიან დახელოვნებული და თავისის საგნის საუკეთესოდ მცოდნე კაციც.

ა. წულუკიძე.

დაბა დილიჯანი, (განჯის გუბერ.) წარსულ ზაფხულს ივ. დავითაშვილის სახლის მახლობლად, ეგრედ წოდებულ „მალაქების სლაბოტკაში“, საითყნაც ყარს-გუმბრის გზატკეცილი მიდის, ერთგან გზის ნაპირას ჩამოწვა მიწა, ასე ორ-საყენის სიმალიდან და გამოჩნდნენ კაცის ხელით დაწყობილნი ფილაქის ქვები, ქოხის მზგავსად მოწყობილნი, რომელთა შუა ც აღმოჩნდნენ პატარა კოჭობი (ქოთანი). ეს კოჭობი, სარქველით დახურულნი, ნახევრობამდის ნაცრით სავსე იყო. როგორც ის ადგილი, სადაც კოჭობები აღმოჩნდნენ, აგრეთვე მარცხნივ და მარჯვნივ, თითქმის ერთის ვერსის მანძილზედ აქა-იქ მოსჩანს ჩამოწოლილი მიწა. სადაც გააჩნეთ სამს ნიადაგს: ორი ჩვეულებრივია, ხოლო მესამე-კი, ესე იგი შუა (средний слой) ნაცრის ფერია და შუა-და-შოგ კაცის ძვლები და ნახშირი ურევია. ვფიქრობთ, უნდა იყოს აქ კვალი იმ ერთა, რომელთაც ჩვეულებად ჰქონდათ კაცის გვამის დწვა და ნაცრის შენახვა.

ტ. ინასარიძე.

ნარკვევა

(ქურნალ-გაზეთებშიდამ.)

წარსული წლის 17-ი დეკემბრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოს თავად აზნაურობათა კრება მეტად შესანიშნავი რამ იყო. ერთსა და იმავე დროს მთელმა ქართველთ ერის უმაღლესმა წოდებამ საქვეყნოდ განაცხადა დიდი ხნიდამ უყრია უფრო დაზარალებული მამული და ნამყენები დაურავს. თითო წელს თითო ნაჭერი გაუშენებია, ისე რომ ვიდრე პირველად ჩაყრილი ნამყენი ნაყოფს მოსცემდა, მოსავალი მცირედი მაინც ჰქონია. ბონის მიდამოში ძალიან იშვიათად-და შეხვდებით ძველს ვაზს, აქ სრული ამერიკანიზმია მეფობს. უძველესი ნამყენი ვაზი მომეტებულ ნაწილად რვა წლისაა, ამაზედ წლოვანს ძნელად ნახავთ, უფრო-კი ოთხის წლისა სჭარბობს. ამერიკულ ვაზთაგან უფრო პატეშია: სოლონისი (Solonis) რიპარია (riparia) და რუპესტრისი. ვაზით ვაჭრობაც გაჩაღდა. ზოგი მხოლოდ ამერიკულს ვაზს ჰყიდის, ზოგი — ნამყენს (ფრანგულ ვაზს ამერიკულ ვაზზედ ნამყენს), ზოგი კიდევ ორივეს ერთად). ხშირად შეხვდებით იმისაც, რომ თვითონ ვენახის პატრონი თავისს საკუთარ საშუალებით იშენებს ამერიკულს ვაზს და მყნობითაც თვითონ ამყნობს.

მევენახე არ კმაყოფილებდა ნასწავლი კაცების გამოკრძალვებით ზე (8) ეს სამივე გვარი ამერიკული ვაზი საზოგადოდ ვერ უხდებოდა კრიტუ მდიდარ მიწას. მაგალ. რიპარია—20% მეტს კრის ველარ სძლებს, რუპესტრისი და სოლონისი 30%.  
(9) 1000 ნამყენი ფასობს 70—100—150 ფრ. მყნობაში მუშას იღებს 1000 ნამყენში 5 ფრანკს. ზოგი მუშა ისე დახელოვნებულია, რომ ხშირად დღეში 2000 ცალს ამყნობს.

გულში ჩაკლული საყვედური. ეს საყვედური იყო მიმართული რუსეთის ბექლავით სიტყვის წარმომადგენლებისადმი. მთელი ჩვენი მხარე მოთმინებიდამ გამოიყვანა მან, რომ ზოგიერთი „კითომ“-კი არა, მართლა ცავლენიანი გაზეთები „ამხედრებულან ჩვენ წინააღმდეგ“ და ეს მით უფრო შემადრწუნებელია, რომ ასეთი ამხედრება, საზოგადო აზრით, ჩვენ სრულიადაც არაფრით არ გამოგვიწვევია, შემადრწუნებელია „სიტყვე მათ მიერ მოგონილის ამბებისა“.

ამერეთის თავად-აზნაურობათა კრებაზედ ლაპარაკობდა კრების ერთ წევრი (თ. დ. გურამიშვილი), ხოლო იმერეთისაზედ თვით თავად-აზნაურთა წინამძღოლი \* J სწორედ ამიტომაც სხვა და სხვანაირად უნდა შეხედოთ მათ სიტყვებს. რასაკვირველია, ის, რაც შეეძლო ეთქვა წევრს კრებისას, როგორც არა ოფიციალურს პირს, არ შეეძლო ეთქვა ოფიციალურს პირს, წარმომადგენელს თავად-აზნაურობისას.

თ. გურამიშვილი საგვებით ვერ შეეხო საგანს. მარტო ქურნალ-გაზეთები რომ იყვნენ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებულნი, მარტო იმათი კორესპონდენტები, რომ იყვნენ „კრუ-კატონნი, რომელნიც (არ არსებულის) კართავენის დამხობას ჰლამიან, მაშინ ხომ ამას ადვილად მოვითმენდით და ყურადღებასაც არ მივაქცევდით.

ეს გაზეთება მოუწადებლად უჩვენებენ მთავარბას ჩვენს სამსახურად განდევნას, რაგორც არა საამქლო კლექტისას და თითქმის განძვება-

\* უნდა შევიშნოთ, რომ „ივერის“ № 10-ში მოყვანილი სიტყვა თ. წერეთლისა 17-ს დეკემბერს იყო წარმოთქმული სწორედ იმავე დღეს, რა დღესაც თ. გურამიშვილის სიტყვა.

თავისს საკუთარ გამოცდაზედ აშენებს თავისს ახალშენს. თვალ-ყურს ადევნებს რა გვარი ამერიკული ვაზი უფრო შეეფერება მის მიწას, რომელი უფრო უძლებს ფილოქსერას და რომელი უფრო კარგად ითვისებს ნამყენს და სხვ. ამას ყოველისთვის ისეთის მტკიცე კილოთი გელოპარაკებათ უბრალო ბურგონიელი მევენახე. რომ გგონიათ თქვენს წინ მეციერი სდგას, რომელსაც სიცოცხლე მხოლოდ გამოკვლევა-ძიებაში გაეტარებინოს.

რა-კი საიმედო გზაზედ დამდგარა ახალ ვაზის მოშენების საქმე, ბონელი დიდის იმედით მოელის დაკარგულ წარსულის დაბრუნებას. ამ გვარ იმედის გაღვივებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, როგორც „ბონელ მევენახეთა საზოგადოებას“, რომელსაც უმართავს კომფერენციები, უბეჭდია უფასო და იაფ-ფასიანი ბროშიურები და სხვ., აგრეთვე მცენარეთა გამოსაცდელს სადგურს, ბონის მეღვინეობის სასწავლებელს და სხ. ბევრი უშრომია აგრეთვე ამ ორ უკანასკნელს დაწესებულებათა დირექტორს—დიურონს. ის ბეჭდავს ყოველ-წლივ პატარა-პატარა ბროშიურებს, რომლებიც დიდს ხელმძღვანელობას უწევენ მევენახეს ამა თუ იმ გვარ ვაზის გაშენებაში.

წ. ნანსი. 1895 წ.

ბ. ა—ლი.



საფრანგო ამ ქვეყნად, რომელიც...

რომ ეს მათი რჩევა რეზოლუციას...

სადაც გაუფრთხილებია, რომ უმალღეს...

ნუ თუ არ უდევს თვალ-ყურით...

განა ეს ყოველივე იგივეა, ვრ. ს. კორე...

მაგრამ ის-კი მართალი სიტყვა თ...

ისინი გვეყენებენ, ვინც ციფრებს...

უცხოეთი

იტალია. ვენიდან დეპეშით ატყობინებენ...

იტალიის მთავრობას შეუშუშავებო...

საზრანგეთში. ლეზინის საქმეს, რომელიც...

რაიცი შეეხება კერძოდ შანტაჟს...

ამსტრ. უზრანგეთი. პრაგის პარლა...

მენტის სხდომები ისევ გაცხარდა...

ამის თქმა და ერთი ალიაქოთის ატეხა...

რუსმალითი. ჰავასის სააგენტო იუწყება...

იმპერატორის ვილაჯების განცხადება

გერმანიის შეერთების იმპერიის 25 წლის...

გვირგვინი და სახელმწიფო ბაიარალი...

„მას შემდეგ, რაც ჩვენმა ლეთივ განსვენებულმა...

„ამისათვის ჩვენ მოვიწყობთ ჩვენთა დიდთა...

„ის ალთქმა, რომელიც განსვენებულმა ჩვენმა...

„დარწმუნებული იყო-რა, რომ იგი არავის მტრობას...

„ვიმზიარებოთ მასზე, რაც ამ მხრივ გაცემებული უკვე...

შესანიშნავად გაძლიერდა, რომლის დღევანდელ...

„მაგრამ რამდენადაც ძვირფასი უნდა იყვნენ...

„თუ ეს ასე მოხდება, მაშინ ღრმად დარწმუნებული...

ურნალ-გაზეთების და წიგნების

ფინლანდიის გაზეთები იუწყებიან, რომ ალანდის...

